№ 194 სექტემბერი 14, ხუთშაბათი 1889 სექტემბერი 14, ხუთშაბათი № 194

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 სექტემბერს.

16-ს სექტემბრისას, შაბათს, დილის 10 საათზე, გაბრიელ იოსების ძის ღვინიაშვილის გარდაცვალების წლის თავზე წმ. ალექსანდრეს ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.
(2—1)

ხუთშაბათს, 14 სექტემბერს

ვაზის ბაღში

გამართულ იქნება პირველად

ფრიად სასიამოვნო შესაქცევარი და გასართობი ხალხისთ სეირნობა.

მოწვეულია სამხედრო მუსიკა, საზანდრების დასტა აბდულ-ბაღისა და პიროტეხნიკოსი.

დაწვრილებით ყოველივე აფიშაში გამოცხადებული.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ფასი შესვლისათვის 40 კაპ., ყმაწვილებისათვის 20 კაპ.
(1—1)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 19 სექტემბერს,

სახსოვრად ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის მოღვაწეობისა, ერთგული თეატრის არტისტები გადაიხდიან

იუბილეის.

წარმოდგენა დაიწყება სადღესასწაულო აქტით.

წარმოდგენილი იქნება:

I

პირველი მოქმედ. თ. გ. ერისთავის კომედიისა

გაყრა

II

პირველი მოქმედ. გრიბოედოვის კომედიისა

ვაი ჭკუისაგან

III

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიისა

ხანუმა

IV

მესამე მოქმედება გ. სუნდუკიანცის კომედიისა

ხათაბალა

დასასრულ

აპოთეოზი

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი და საზანდარი. თეატრი მორთული იქნება.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე
(4—1)

ტფილისი, 13 სექტემბერი

წარსულს წერილებში სხვათა შორის მოხსენებული იყო, რომ საპროფესიო სწავლა-ცოდნა ისე არსად არ არის გავრცელებული, როგორც შვეცია-ნორვეგიაში, და რომ გერმანია ამ ქვეყნის მაგალითით სარგებლობს, სცდილობს ხელ-საქმეობა და საპროფესიო სწავლა-ცოდნა თავისს სკოლებშიაც დაამკვიდროს და ამით სკოლასაც და ერის ყოფა-მდგომარეობასაც მკვიდრი საძირკველი დაუდვას.

ამავე გზაზე სდგას საფრანგეთიც, რომელმაც „მას შემდეგ, რაც გერმანიამ მიწასთან გაასწორა, განსაკუთრებული ყურადღება ათხოვა სწავლა-განათლების საქმეს და სცნა, რომ ერის განათლება თავი და თავი საბუთია ერის ძლიერებისა და წარმატებისა. 1871 წელს ჟიულ სიმონი ამბობდა პალატაში, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიამ დაგვამარცხა, ყველამ აშკარად დავინახეთ, რომ სწავლა-განათლების საქმე სულ სხვა საფუძველზე უნდა დავაყენოთ და პირველ-დაწყებითი სწავლა უნდა გავაძლიეროთ, რადგანაც ერთსა და მეორეზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი მერმისი“. მართლაც, 1871 წლიდგან მოკიდებული საფრანგეთის მართებლობამ, სხვა-და-სხვა დაწესებულებამა, წოდებამ და კერძო კაცებმა ხელი ჩასჭიდეს სწავლა-განათლების საქმეს, და მთელი საფრანგეთი მოიფინა სკოლებით, რომელთაც ახალი ფერი და მიმართულება მიეცა. მარტო პარიჟმა 1872—1874 წლებში პირველ-დაწყებითის სწავლა-განათლებისათვის დახარჯა ხუთ მილიონამდე მანეთი, და 1872 წლიდგან მოკიდებული 1875 წლამდე პარიჟში მოსწავლეთა რიცხვმა ერთი-ორად იმატა. ამ ათის-თვრამეტის წლის განმავლობაშიაც ბევრი ხარჯი და შრომა გასწია საფრანგეთმა სწავლა-განათლების საქმისათვის და, რაც დრო მიდის, უფრო მეტსა და მეტს შრომასა და ხარჯს ეწევა, ოღონდ ამ საქმეში პირველობა დაისაკუთროს.

საფრანგეთმა განსაკუთრებითი ყურადღება ათხოვა საპროფესიო სწავლა - ცოდნას და განზრახვა აქვს ეს ცოდნა საფუძვლად დაუდვას საერო განათლებას. წელს პარიჟში შეიყარა საერო განათლების კონგრესი, რომელზედაც დაესწრო ათას ხუთასი კაცი, მათ შორის უცხოელნიც. კონგრესს, სხვათა შორის, სჯა ჰქონდა იმის შესახებაც, თუ რა რიგად უნდა იქმნას დაყენებული საპროფესიო სწავლა-ცოდნა და რამდენად უნდა ისწავლებოდეს იგი საერო და ნორმალურს სკოლებში. ამ საგნის შესახებ კონგრესი შემდეგს გადაწყვეტილებას დაადგა: მეურნეობა უნდა ისწავლებოდეს პირველ დაწყებითს და უმაღლესს საერო სკოლებში და აგრეთვე ნორმალურს სკოლებშიაც. უმაღლესს სკოლებში უნდა ასწავლონ სპეციალური კურსი აგრონომიისა თეორიულად და პრაქტიკულად ადგილ-მდებარეობის მიხედვით, ნორმალურს სკოლებში-კი უნდა ამზადებდნენ აგრონომიის მასწავლებლებს საერო სკოლებისათვის.

ამ სახით, კონგრესის აზრით, საპროფესიო სწავლა-ცოდნა საძირკვლად უნდა დაედვას საერო განათლებას, რომელიც ამ საფუძველზე უნდა დამკვიდრდეს და აჰყვავდეს.

ე. ი.

## ახალი ამბავი

*** ამ ორს დღეში დაიბეჭდება და გამოვა გასასყიდად ორი პატარა ქართული წიგნი, რომელსაც ჰბეჭდავს რედაქცია გაზ. „მეურნე“-სი. ერთი წიგნია: „ხეხილი და იმისი მოვლა-გაშენება“, ხოლო მეორე: „ბამბა და იმისი მოყვანა“. პირველს წიგნში ჩართული იქნება რამდენიმე სურათი, რომელიც მესხიშვილის ლიტოგრაფიაში დაუმზადებიათ.

*** ამ ათს დღეში, როგორც უკვე მოხსენებული იყო, გამოვა გასასყიდად ბ-ნ დ. ზ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორია“, პირველი წიგნი, და ვისაც ამ წიგნის შეძენა სურს, უნდა მიჰმართოს „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

*** როგორც შევიტყეთ ნამდვილის წყაროდგან, ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნს ან. ნატროევს მიუმართავს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოს პალლადისათვის და უთხოვნია, რომ ჩემ მიერ ქართულს ენაზედ შედგენილი კრებული არითმეტიკის ამოცანებისა დროებით, ვიდრე მოვიდოდეს მოწერილობა უწმინდესის სინოდიდამ, მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოდ თქვენდამი რწმუნებულს სასულიერო სასწავლებლებშიო. მის მაღალ

## ფელეტონი

### საინგილო*)

ეთნოგრაფიული წერილები

ამ გვარად დანიშნულ ქალს მზითევი ორი-სამის წლის განმავლობაში უმზადდება. მზითევი რომ დამზადდება, ვაჟის მამა მაჭანკლის პირით მძახალს (ჩვენებურად ზახალ) ეკითხება, წლეულს ქალს მაძლევ, თუ არაო. მძახალიც ან ჰოს შემოუთვლის, ან არას. ხშირად ქალის მამა კიდეც ინაზება, ქალს ადვილად არა სთმობს. იგი ყურადღებასაც არ აქცევს საქმროს მამის ხარჯ-ხაჯალათს. მკვახე უარზედა დგება. რატომაც არა! საქმროდამ ამდენი საჭმელ-სასმელი მოსდის და ყოველი მზითევი ქალისა, მოიმედეა, რომ ბლომა ქრთამსაც აიღებს, ქალის საქორწინო ხარჯსაც გამოართმევს და ამას გარდა ერთის წლის განმავლობაში ქალს კიდევ თავის სახლში ამუშავებს თავის სასარგებლოდ. ჩვენში ხომ კაციცა და ქალიც ძვირფას მუშად ითვლებიან. და მამა რომ არზე დგება, უფრო ამ მუშა ხელის დათმობა ენანება. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარ ულმერთო დედ-მამას, ხშირად, ქალები სასტიკად სჯიან: ჩუმად გაიპარებიან საქმროსას და ჯვარს გადაიწერენ ხოლმე.

ასეა თუ ისე, ამასობაში ქორწინების დროც მოდის, დრო სავსებისა და ლხინისა, ე. ი. შემოდგომა. რთველს შემდეგ აქ ქორწილები იმართება. ქორწილისთვის წინა დღითვე საქმროს ოჯახი დიდ ფაცა-ფუცს შეუდგება ხოლმე. ქორწილის ერთის კვირის წინად სახლის პატრონი მოიწვევს ნათესავ დედა-კაცებს ორს-სამს პურის საცხობად. ისინი შეუდგებიან თეთრის ლავაშის ცხობას. ქორწილის დღემდის დღეში 5—6 ცომს აცხობენ. თითონ ოჯახის პატრონიც სხვა თადარიგს შეუდგება: ორსა ან სამ საქონელს იყიდის ქორწილის ხალხის სამასპინძლოდ, ექვსიოდე ბათმან ყველს (ბათმანში 33 გირვანქაა), დაამზადებს 1/2 თაღარ არაყს, ათიოდე თაღარ ღვინოს, ორმო ვაშლსა (აქ ვაშლს ორმოში ინახავენ, ორმო ვაშლი ორ-სამ ფუთს იწონს), ყურძენსა, თაფლსა და ერბოც უნდა ჰქონდეს შენახული. თაღარი ღვინო 30 კახური თუნგია.

ყველაფერს რომ დაამზადებს საქმროს მამა, წინა დღითვე სოფელში სანდო კაცებს (ორს) გაჰგზავნის ნაცნობთა და ნათესავთა ქორწილში დასაძახებლად (მოსაწვევად). „დამზახნელები“ კარ-და-კარ დადიან, ყველას ეზოში შევლენ, პირდაპირ სახლისაკენ გაეშურებიან, ხმა-ამოუღებლივ სახლში შევლენ, ცეცხლა პირზე (კერას პირში) ნაბადზე ჩამოსხდებიან და სახლი პატრონს მიჰმართავენ ამ სიტყვებით:

„მავანმა (სახელი) გამოგვგზავნა. ხუაალ ქორწილ აქოყ, ყერ შენ გეზახით, სახლი პატრონო, მემლან შენ, ზალა (თუ სახლი პატრონის ცოლი ძალუათ არ მოუხდება, მის სახელს იტყვიან, ან ცოლს), თქეინ ქალფათს, ერ მინამ (არავინ) შინ არ დარჩეს, მალაჲთ, თუ ყონაღ (სტუმარი) ყავაყ, ისიც მაჲყონით“.

სახლის პატრონი „დამზახნელებს“ პასუხად ეტყვის:

„ჰუმბარაგ (ბედნიერი) იქნეს*), გეიზი აჲდინ (თვალ-ბედიან) იქნეს, თალაიან (იღბლიანი) იქნეს, ღმერთმა ჯელ-მოგიმართასყ.“

ამის შემდეგ დამზახნელები ახლა სხვისას გაემართებიან და იმავე სიტყვებით მიიწვევენ ყველას. ბოლო სახლში მისაწვევად რომ მივლენ, იქვე დარჩებიან ვახშმად.

ქორწილის წინა დღეს, საღამოს, საქმროს სახლში ნათესავებისთვის იმართება „მემზანაგეს სალამო“ ანუ «მემზანაგობა». იყრებიან ნათესავნი და საყვარელი მეგობრები და საქმროს ტოლ-ამხანაგები, შუაღამემდის ლხინობენ, ქეიფობენ და მერე თავიანთ სახლებში მიდიან. მემზანაგობის მეორე დღიდგან იწყება ნამდვილი ქორწილი. ამ 15—20-ის წლის წინად ქორწილი 4—5 დღე იცოდნენ. დღეს-კი ორიოდ-სამიოდ დღესაც ქორწილი აქ მხოლოდ აქაიქ იმართება და უფრო ხშირად-კი ერთ-ორ დღეს ლხინობენ და ამით ათავებენ ქორწილს. ჩვენ ისევ იმ ძველის დროის ქორწილს აღვწერთ. ნამდვილს ქორწილს სამი სახელი ჰქვიან: პატრა ქორწილ, დიდ ქორწილ და ფეყზე-დგომელ ქორწილ. პატარა ქორწილი იციან პირველს დღეს, დიდი ქორწილი—მეორესა და მესამე დღეს, ხოლო ფეყზე მდგომელთა ქორწილი—მეოთხე დღეს.

პატარა ქორწილის დღეს დილიდგანვე საქმრო ცალკე შთაიკეტება თავის „შემკმაზავებით“ (მომრთველები) და საცოლო აგრეთვე ცალკე დაბინავდება მამის რომელსამე სახლში, ან ოთახში. ვაჟის შემკმაზავად ერთს ან ორს კაცს ირჩევენ ტოლ-ამხანაგ-ნათესავთაგან, ქალის შესაკმაზად-კი ამ გვარადვე ქალებს ირჩევენ. ქალისა და ვაჟის შემკმაზელებს ორ-ორ აბაზს აძლევენ.

ნეფე-პატარძალს დილა-ადრიან წაიყვანენ ეკკლესიაში და ჯვარს გადასწერენ. მაჰმადიანი ინგილოები-კი რძალს სახლში მოიყვანენ და ნიქას გაუჭრიან. ჯვარ-დაწერილები თავ-თავიანთს სახლებშივე ბრუნდებიან: ნეფე მამის სახლში და დედოფალიც თავის მამისავე სახლში. წავლენ სახლში და ისევ ცალკე შთაიკეტებიან. პატარა ქორწილის საღამოსვე ერთ სახორცე საკლავს დაჰკლევენ და დილითვე საჭმლის მზადებას შეუდგებიან; ამზადებენ ხორცის წვენს საარაყე ქვაბებში, ცივად მოხარშულ ხორცს, კილანებში (თიხის პაწია ჯამია) ყველს და სხ. ვინც მოვა სტუმარი, იმას არაყს დაალევინებენ და ვაშლს, ან ყურძენს მიართმევენ. შემდეგ ნაღარა-ზურნით ნეფეს ქოხიდგან გამოსაყვანად წავლენ. კარი გაიღება და ნეფე, სულ მთლად ნაბადში გახვეული, მორცხვობით და ნელ-ნელა გამოვა. ნეფე ნაბადში ისეა გახვეული, რომ თვალების მეტი აღარა უჩანს-რა.

*) იხ. „ივერია“ № 191 და 193.

*) ზმნა „ქმნა“ საინგილოში ხშირად ზმნის „ყოფა“-ს მაგიერ იხმარება.

ყოვლად უსამღვდელოესობას ნება დაურთავს, რომ ეს წიგნი მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელს უმცროსს განყოფილებებში და ყველა საეგზარხოსო საეკლესიო სამრევლო სკოლებში.

*** ქართულის თეატრის სეზონი 15—20 სექტემბერში უნდა დაიწყოს. აი ვინა და ვინ არიან ახალს დასში: ქ-ნები საფაროვისა, ავალოვისა, ანდრონიკაშვილისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა, ტარიელოვისა, იმნაძისა, ჩიქოანისა; ბ-ნები აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი, გუნია, ცაგარელი, კანდელაკი, ახლები: გედევანიშვილი, შათირიშვილი და რეხელი. დასი სეზონს ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის იუბილეის დღესასწაულით დაიწყებს და კვირაში თითო წარმოდგენას გამართავს. ჯერ-ჯერობით მაინც არავინ იცის, დასი ვისი შედგენილია, ვინა უფროსობს: ფორკატი, როგორც ხმა დადიოდა, ქართული დრამატიული საზოგადოება, თუ ამხანაგობაა შემდგარი. დრამატიულს საზოგადოებას წარსულს კვირას უნდა ჰქონოდა კრება და არა ისმის-რა, შესდგა თუ არა, და თუ შესდგა, რა აზრს დაადგა, რაზედ მოილაპარაკა, რა გადასწყვიტა. ახალს რეპერტუარში დასახელებულია, განახლებულთ გარდა, შემდეგი ახალი პიესები, რომელიც ამ სეზონში უნდა წარმოადგინოს დასმა: აკაკი წერეთლისა—პატარა კახი, გაიძვერაები, ა. ცაგარლისა—გულჯავარ, კარდინალი რიშელიე (თარგ), ლაზარევისა — მტარვალი (თარგ.), ბენაშვილისა—თელაველი ოტელო, სუმბათაშვილისა—ბორკილი (თარგ.), ჩეხოვისა—მსხვერპლი უხასიათობისა (თარგ ), პ. უმიკაშვილისა—მარცხი, ლაზარევისა—მოჩვენება (თარგ.), შექსპირისა—ოტელო და გუცკოვისა—ურიელ აკოსტა. ამას გარდა ახალს დასს განზრახვა აქვს მთელის ზამთრის განმავლობაში ხანდახან მოიწვიოს ხოლმე ქუთაისიდგან: ბ-ნი კოტე მესხი და ქ-ნი ეფემია მესხისა.

*** ამ ზაფხულს პროფესორმა კონდაკოვმა და ბ-ნმა დ. ზ. ბაქრაძემ დაათვალიერეს სხვა-და-სხვა ძველი საეკლესიო ნაშთი იმერეთში, გურია-სამეგრელოსა და რაჭაში. მოგზაურობის დროს ბ-ნთ კონდაკოვსა და ბაქრაძეს უნახავთ მრავალი შესანიშნავი საეკლესიო ნივთი და სამკაული და მათ შორის ორი ძველის-ძველი სახარება, რომლებიც ბევრად სჯობიან თურმე ხელობით და მხატვრობით გამოჩენილსა და სახელ-განთქმულს სახარებას გელათისას. აგრეთვე უპოვიათ რამდენიმე შესანიშნავი ჯვარი. ბ-ნთ მოგზაურთ ის აზრი შეუდგენიათ, რომ იმერეთში, გურია-სამეგრელოსა და რაჭაში, თუმცა დიდძალი ნივთი სამუდამოდ დაკარგულია, მაინც მრავალი შესანიშნავი და მდიდარი სამეცნიერო მასალა იპოვება, და რომ ეს მხარე დღემდე თითქმის სრულიად უცნობი ყოფილა. ბ-ნთ კონდაკოვისა და ბაქრაძის მოგზაურობის შესახებ ჩვენ უფრო ვრცელს შენიშვნას დავბეჭდავთ.

*** ძველი გზა-ტკეცილი, რომელიც ტფილისიდამ ქუთაისისაკენ მიდიოდა, ამ ჟამად სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული, მაშინ-როდესაც ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ ქვეყნებისათვის, რომელშიაც ეს გზაა გაყვანილი, არამედ თვით მთავრობისათვისაც. ამ გზაზე წელს რამდენმამე პოლკმა ჯარმა აიარა, როცა საზაფხულოდ მიდიოდა ბანაკად აგარაკებში, და ჩამოიარა კიდევ, როცა დრო მოუვიდა ყაზარმებში დაბრუნებისა. გზაზე ბევრი წყლებია და ზოგან საკმაოდ დიდი წყლებიც. ზედ ხიდები იყო ოდესმე და ეხლა ამ ხიდების კვალიც აღარსადა სჩანს. ჯარები იძულებულნი იყვნენ შიგ ეტოპნათ და ან ფონზე გასულიყვნენ. ზაფხულში კიდევ ადვილია ასე სიარული, მაგრამ ვინიცობაა საჭირო შეიქმნა ჯარების გადაყვან-გადმოყვანა სხვა დროს, როცა წყლები და მდინარენი მოდიდებულები არიან, მაშინ ამ გზაზე სიარული ყოვლად შეუძლებელი იქმნება. ხალხიც დიდად ჰგრძნობს ამ გზების საჭიროებას. სამაზრო ადმინისტრაციამ ბევრგან საქართველოში ახალი გზები გააკეთებინა სოფლებს, და რა ჰკუაა, ძველი, გაკეთებული გზა უყურადღებობით წახდეს. გზის წახდენას რომ ვამბობთ, უფრო უხიდობა გვაქვს სახეში. წელს გაზაფხულზე სწორედ გაიტანჯა ერთი დიდი მხარე გორის მაზრისა, რომელიც წყალ-დიდობისა და უხიდობის გამო მოსწყდა თითქმის მთელს ქვეყნიერობას. შეწუხებულმა მცხოვრებლებმა, უფრო თავად-აზნაურობამა და იქაურმა მემამულეებმა, ამ ზაფხულს სთხოვეს საერთოდ გორის მაზრის უფროსს, რომ მან მიაქციოს თავისი ყურადღება ძველს საფოსტო გზას და მეტადრე ამ გზის უხიდობას. ხიდები აღარ არის ამ გზაზე, აღარც სკრისა, აღარც საღოლაშნისა და აღარც ფცის წყლისა. როცა ამ ზაფხულს გორის მაზრის უფროსი მოვიდა ფრონის ხეობაში, იქაურმა თავად აზნაურობამ მაზრის უფროსს დაავალა ეს საქმე და თვით-კი იტვირთა ფულის შეგროვება და საჭირო ხე-ტყე და რკინეულობა ფრონის წყლისა და ფცის წყლის ხიდებისათვის. მაზრის უფროსი ბ-ნი ალანდერი დაჰპირდა თავის მხრით, რომ მაგ საქმისთვის ეცდებიო. იმედია, რომ ბ-ნი ალანდერი თავისს დაპირებას შეუსრულებს ფრონის ხეობის თავად-აზნაურობას, ამით დიდად დაავალებს რამდენისამე ხეობის ხალხსაც და მთავრობისათვისაც სასარგებლო საქმეს გააკეთებს.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს პატარა შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში და ამით ამაცილოთ ის ეჭვი, რომელიც ჩემზე შემოიტანა თქვენმა კორრესპონდენტმა. „ივერიის" მე-185 №-ში დაბეჭდილია, რომ სურამში ორმა ძმამ მაჭარაშვილმა. ხელობით თერძებმა, მოჰკლეს სურამელი ებრაელიო. ეხლა, ჭეშმარიტების აღსადგენად, გთხოვთ დაჰბეჭდოთ, რომ ეჭვი მიიტანეს არა ორს ძმაზე, არამედ ერთზე, სახელდობრ სარდიონ მაჭარაშვილზე, რომელიც უკვე გაგზავნეს გორის საპყრობილეში. მე-კი ამ საქმეში სრულებით არ ვურევივარ!

სიმონა მაჭარაშვილი

## წერილი კახეთიდგან

ვის არ გაუგონია საჩივარი, რომ სიღნაღის თავად-აზნაურობა არა სცდილობს შეკავშირდეს, საერთო ძალღონით გაუძლევს თავისს გაჭირებულს მდგომარეობას და ამით ხელს უშლის მთელს მაზრასაც.

ასე ათვალწუნებული და უკან ჩამორჩენილი სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობა ამ ბოლოს დროს, როგორც ეტყობა, იფშნეტს თვალებს და ფხიზლდება...

მოგეხსენებათ, კახეთის ვენახები ამ სამი-ოთხის წლის განმავლობაში მთლად გაატიალა ახალმა სენმა — მილდიუმ. წელს უფრო უარესად აიშუშა და ჩამოხმა უმეტესი ნაწილი იმ ვენახებისა, რომელიც უწამლოდ დარჩა.

კვირას, 3 ამ თთვისას, სოფ. ბაკურციხეს, ქ-ნ ნინო ანდრონიკაშვილის სახლში, მოვიდა მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. ი. რ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც იქვე მიიწვია თავად-აზნაურობა. თავად-აზნაურობას სხდომა ჰქონდა ბ-ნის მარშლის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ დაახლოვებით შემდეგი სიტყვა მოახსენა კრებას:

„ბ-ნებო, დღეს ჩვენ შევიკრიბენით ქ-ნ ნინოს წინადადებით. მოგეხსენებათ, რომ ამ ენკენისთვის დამლევს მობრძანდება საქართველოში სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, რომელსაც განზრახვა აქვს კახეთშიაც გვესტუმროს და ნაწამლი და ავადმყოფი ვენახები დაათვალიეროს.

„ამ რამდენისამე დღის წინად მე მივიღე წერილი ქ-ნ ნინოსაგან, რომელიც მირჩევდა მეთხოვნა, თქვენის თანხმობით, ბ-ნ მინისტრისათვის რაიმე საშუალება იხმაროს ჩვენის ვენახების გადარჩენისათვის. უპირველესად ის უნდა ვითხოვოთ, რომ ვაზის მკურნალთა დასი მომავალ წელსაც გამოგვიგზავნონ და რომ მთავრობამ იკისროს და გამართოს აქ ვაზის წამლებისა და იარაღების საწყობი, საიდგანაც ყველას ნამდვილის წამლის სყიდვა შეეძლოს"...

ერთმა იქ დამსწრეთაგანმა ამ საგნის შესახებ შემდეგი სთქვა: „აუცილებლად საჭიროა ვსთხოვოთ წამლების საწყობის გამართვა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ მოკლე ხანში არა-ერთხელ ყოფილა შენიშნული: ჩარჩ-მოვაჭრენი ნამდვილს წამლებში, ფულის სიხარბის გამო, ურევენ ფერით მიმსგავსებულს ნივთიერებას, რომელიც არა თუ რგებს ვაზს, არამედ დიდად ჰვნებს. მაგალითად, გოგირდში ურევენ სიმინდის ფქვილსა და გაცრილს აყალო მიწას და შაბიამანში-ლურჯსა და ცისფერს ქვას. თუ ჩვენი ხალხი, მეტადრე ამ პირველ ხანებში, ამ შემთხვევაშიაც ჩარჩების ხელში ჩავარდა, მაშინ, უვარგისის წამლების ხმარების გამო, ხალხს ვაზის წამლობაზე გული სრულიად აუცრუვდება და ამ ცვარად უწამლობით მოგვესპობა თავი და თავი წყარო ცხოვრებისაო". კრება კარგა ხანს გაგძელდა და ბევრის თათბირის შემდეგ ერთხმად გადასწყვიტეს:

ა) მოხსენდეს ბ-ნს მინისტრს მადლობა აგრონომ ბ-ნ ინანიშვილის წინამძღოლობით დასის გამოგზავნისათვის კახეთში, რადგანაც ამ დასმა სულ ცოტა ხანში თავისის დაუღალავის შრომით ისე დიდი და თვალსაჩინო ნაყოფი მოიტანა და დაარწმუნა მეტი ნაწილი მდაბიო ხალხისა, რომ ვაზის წამლობა შესაძლებელიც არის და სასიკეთოც.

ბ) ეთხოვოს ბ-ნ მინისტრს, რომ კვლავაც იქმნას გამოგზავნილი კახეთში იგივე დასი, რადგანაც ხალხმა, რომელიც პირველ ხანებში ეჭვის თვალით უყურებდა და წამლობას არ ესწრობოდა, დღეს თუმცა სცნა წამლობის სიკეთე, მაგრამ რიგი და წესი ვაზის წამლობისა არ იცის,

გ) გაგვიმართოს მთავრობამ საწყობი ვაზის წამლებისა და იარაღებისა და წამლის გამსყიდველიც დაგვინიშნოს იმდენად მცოდნე კაცი, რომ წამლის მყიდველ ხალხს აუხსნას წამლობის რიგი და წესი.

დ) ეთხოვოს ბ-ნ მინისტრს, რომ კახეთში დააჩქარონ სამეურნეო და მევენახობის სკოლის გამართვა.

და ე) რადგანაც სიღნაღის მაზრა ფრიად ურწყულია, კერძო მემამულეთა საერთო ტყეები იჩეხება და იჩანაგება და ტყეების გაჩეხით ადვილი მოსალოდნელია სრულიად და-

---

რა-წამს ნეფე გარეთ გამობრძანდება, მისი დედ მამა მოვალეა შვილის წინ იშიფროს (ითამაშოს), გადაჰკოცნოს და კისერზედ კელ-მანდილი მოახვიოს. აქედგან ნაღარა-ზურნის კვრით ნეფეს დიდ სახლში მიიყვანენ, სუფრას გაშლიან, ყველანი ჩამოსხდებიან და ლხინი გაჩაღდება. სტუმრებს მოართმევენ ბლომა ხორცს, წვენს, ლავაშს, ღვინოს კელადებით და ორ-სამ კაცს ერთად თითო ნაჭერ შემწვარ მწვადს, რომელიც „ხორაგის ამხანაგობაა" თითონვე უნდა შეიწვას და შეექცეს. მწვადის შესაწვავად ხის შამფურებია დამზადებული და გარეთ ცეცხლი ანთია. სახლში იმართება დიდი ლაპარაკი, დიდი «მაშყულათი», სიმღერა, ყაყანი, ღვინის სმა, თამაშობა და სხ. სახლის პატრონი იქვე ზის, ან სტუმრებს დასტრიალებს და ყველას აქეზებს, ყველას სთხოვს: „ზმებო, ღჾნეჲ დალივით, ნუ გშურსყ, გაიხარით". ამასობაში გარეთ „ჰენგებისთვის" (მაყრიონი ქალები) ცხენებს ამზადებენ ნეფეს ნათესავები. მაყრიონში მონაწილეობას იღებს ოციოდე ქალი და შვიდი კაცი „გატანებული" გატანებულებში ერთი მაჰანკალია და ერთი კაციც ვინმე წარჩინებულთაგანი. გატანებულებს მიაქვთ: ორი მოხარშული ქათამი, ერთი ჩაფი ღვინო, ორი სატცნეჲ (ბარკლის ხორციანი ძვლები), ერთი «კლავი» (მხარი), ყახაჟი (ცხვრის ლორი). ამას გარდა მაყრიონში მონაწილე დედაკაცებს სხვა კაცებიც მიჰყვებიან, (ქილავდრები) ცხენების ჩამოსართმევად. მაყრიონში ცხენოსანნი, მხოლოდ ქალებია, კაცები-კი ქვეითად მიდიან. მაყრიონს მიუძღვება ნაღარა-ზურნა. მამაკაცნი თოფ-იარაღით არიან. აი მაყრიონმაც მოატანა და დედუფლის ეზოს კარებს მოადგა. კარები დაკეტილია და იქვე მაღალ ხეზე (ალატზე) მაშხალაა გაკეთებული. გრძელი ალატი მიწაში დაურჭვიათ და მის წვერზე ვაშლი გაუკეთებიათ. მაყრიონს კარები გაეღება მხოლოდ მაშინ, როდესაც თოფით ვაშლს ჩამოაგდებენ. კარებს რომ გაუღებენ, ყველანი შევლენ ეზოში, მიულოცავენ ქორწილს დედუფლის მამას, რომელიც ყველას მიიწვევს სუფრაზე და გამოტანებულებს „კაცის მარაქაში" დასხამს და ქალებს „ქალების მარაქაში" (სუფრაზე), მცირეოდე ხანს სჭამენ-სმენ, მერე აიშლებიან, პატარძალს ცხენზე შეჰქსმენ და წამოვლენ ნაღარა-ზურნის კვრით. პატარძლის გამოსტუმრებამდე ნეფიონისას, ნეფიონის ურმითვე, მიაქვთ ქალის ფართალი (ჯეჯიმები, ვერლნები, კიდობანი და სხ.) ურემს მოჰყვება „მეკურტნე", ქალის ნათესავი ყრმა. იმისი მოვალეობა ის არის, რომ ნეფიონისას მოტანილს პატარძლის ფართალს, ქორწილის გათავებამდე, ხელი არავინ ახლოს. ამიტომაც იგი, საცა ფართალს დაალაგებენ, იქ ახლოს უნდა იჯდეს და ყური უგდოს. გარჯისათვის იმას ერთი აბაზი უნდა მისცენ ნეფიონის სახლიდამ. პატარძლის მოსაყვანად ნეფიონის სახლიდგან იგზავნება კარგი ულაყი ცხენი, რომელსაც დედუფალმა უფორო მარაზი უნდა შეაბას. თითონ პატარძალი შემოსილია ისე, რომ სრულიად პირი არ უჩანს. იმას აცვია ფარჩეულის ტანისამოსი, ახალოხზედ აკერია ვერცხლის მოსართავები, არტყია ქამარი; ილგაგი (ფართო და განიერი ძეწკვი) გულზედ ჰკიდია) და სხ. თავზედ ჰხურავს აბრეშუმის შავი კელმანდილი, კეცკეცად დაკეცილი და შუბლისკენ ცხვირივით გრძლად გადმოშვერილი. ამ გვარად მორთულ პატარძალს ზემოდგან ჩამოხურული აქვს აბრეშუმის დიდი ქალაღა. მამა ან ბიძა მორთულ პატარძალს შესვამს ცხენზე და გამოისტუმრებს. პატარძლის ცხენი მოჰყავს ჯილავდარს. პატარძალს იმისივე ოჯახიდამ მოჰყვება მდადე (დად) და შვიდი გამოტანებული იმ გვარისავე სანოვაგით, რა გვარითაც ნეფიონის გატანებულები წავიდნენ, პატარძალს მოიყვანენ ეზოს კარებზე. აქაც მაშხალაა, ხოლო ვაშლი-კი არა, არამედ ცეცხლი, რომელიც პალოს წვერზე ანთია. გამოტანებულები ცეცხლს თოფს მიარტყმენ, კარები გაიღება და ყველანი შევლენ ეზოში და ცხენებიდამ ჩამოხტებიან. პატარძალს-კი ჯილავდარი საოჯახო სახლის კარებზე მიიყვანს. აქ სახლის სახურავზე კიბე აყუდია, რომელზედაც ნეფეა ასული. პატარძალს, რომ კიბის ძირში ჯილავდარი მიიყვანს, ნეფე ერთ ჯამ თხილს თავზე გადმოაყრის. რას ნიშნავს თხილის გადმოყრა პატარძალზე, არავინ იცის. შემდეგ მამამთილი მივა ცხენთან და პატარძალს გადმოსვამს. პატარძალს მხარში აოუდგებიან მდადე ერთის მხრით და ნათესავი ქალი მეორე მხრით და შინ შეიყვანენ. კარებზე დაუხვედრება დედამთილი, აუწევს ქალაღას და პირზე თაფლს წასცხებს მარჯვენა ხელშიაც ცომს ჩაუდებს და კარის თავზე მიაკვრევინებს. მერე წაიყვანს და ფქვილის კასრებში ხელს ჩააყოფინებს. პირზედ თაფლის წაცხება ქალის სიტკბილეს, სიტკბოებით დროს გატარებას ჰნიშნავს, კასრებში ხელის ჩაყოფინება. ახალ-მოსულ პატარძლის ხელის ბარაქას მოასწავებს. ფქვილის კასრში რომ პატარძალი ხელს ჩაჰყოფს, შიგ ჩააგდებს „კოკოს" (კვერს), რომელიც მამის სახლიდან გამოატანეს. შემდეგ პატარძალს მიიყვანენ და კოთეში (სახლის ჩრდილოეთი კუთხე) დასმენ და მუხლებზე მცირე წლოვან ვაჟს ჩაუსმენ—ვაჟიშვილები მოგეცესო. რძალი ამ ყმაწვილს ერთ წყვილ წინდას აჩუქებს. რძლის დასასვენებელი კოთე ჩარჩავით (ფარდით) გალობილია. რძალთან ახალგაზდა ქალები და მდადე სხდებიან. ფარდას ქვემოთ, კერას მარცხნივ, დედაკაცების მარაქაა გამწკრივებული, კერის მარჯნივ-კი კაცებისა. ნეფე კაცების მარაქაში ზის. იმასთან ერთად მარჯვნივ და მარცხნივ იმისი შემკაზლები სხედან, ლხინი, თამაში და სიმღერა კარგა შუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვიშრეს წყალი, ამისათვის ეთხოვოს ბ-ნ მინისტრს, რომ სიღნაღის მაზრის ტყეები მიღებულ იქმნას სახელმწიფო უწყების ზედამხედველობის ქვეშ მემამულეთა თავ-თავიანთი ნაწილის გამორკვევამდე და არ მიეცეს არც ერთს მემამულეს ნება სარგებლობისა, თუ არ საკუთარის აუცილებელ საჭიროებისათვის, და სხვ.

მეთვალყურე

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მადლობა ღმერთს! საფრანგეთში ბოლო მოეღო საშინელსა და დაუნდობელს ბრძოლას დასთა შორის არჩევანების გამო. არჩევანები გუშინ და გუშინ-წინ უკვე გამოირკვა და რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს. მთავრობასა და იმის მომხრეებს დარჩა ბურთი და მოედანი, იმათ გაიტანეს ღელო. საშინელი ბრძოლა-კი იყო გამართული: მებრძოლნი აღარა ჰზოგავდნენ ერთმანეთს; იყო ერთი ლანძღვა და თრევა, განურჩევლობა და განუკითხველობა. ბევრგან იქამდე მივიდნენ, რომ რევოლვერებსაც ესროდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგე კანდიდატები. ნანსში კონსერვატორების დეპუტატს რევოლვერი ორჯელ ესროლეს, როცა საარჩევანო კრებიდამ შინ მოდიოდა. ზოგიერთნი გაზეთებში აცხადებდნენ, რომ იძულებულნი ვართ რევოლვერები ჩავიდოთ ჯიბეში და ისე ვიაროთ კრებაზე, რომ ვინც რევოლვერს გვესვრის, ჩვენც პასუხი რევოლვერითვე გავცეთო. ტულუზის ქალაქში ვიღაც სიზული იყო მეტოქე შინაგან საქმეთა მინისტრის კონსტანისა და იმან საშინელის ლანძღვის დეპეშა მისწერა ამ მინისტრს: ქურდი ხარ, ავაზაკი, იუდა და გამცემელიო; დუელში გითხოვ, უნდა ან შენ იყო, ან მეო. კონსტანმა, რასაკვირველია, პასუხიც არ აღირსა ამ უღირსს კაცს.

მთავრობა გაფაციცებული იყო და ფეხზე იდგა მთელ ამ ორ-სამს კვირაში: თითქო წვიმაო, ისე აყრიდა თავის მომხრეებს ცირკულიარებს, დეპეშებს, ფულის წვიმას აწვიმებდა თავზედ და ამხნევებდა ბრძოლაში. მთავრობის მოწინააღმდეგენი ხომ უარესს საქმეს სჩადიოდნენ. ისე ლანძღავდნენ მთავრობას, რომ წარმოუდგენელია სხვა ქვეყნის კაცისათვის. აღარ გააჩნიათ აღარც მინისტრები, აღარც თვით პრეზიდენტი რესპუბლიკისა. კარნო იდიოტია, ლაქიაა კონსტანისაო.

მოწინააღმდეგეთა გაზეთები ასე აუწყებდნენ თავიანთ მკითხველებს სამინისტროს კრების თაობაზე:

„ხვალ შეიკრიბებიან ავაზაკნი, დროებით გამგებელნი საფრანგეთისანი, ყალბის მებრილიანტე ტირარის თავმჯდომარეობითაო“.

ანუ ასეთს ამბავსა ჰბეჭდავდნენ: „ავაზაკთა ბრბომ, მფარველმა ქურდებისა და გაიძვერა ვიგინდარებისამ, მესაათე ტირარის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტაო“... და სხ.

კონსტანს ისე იხსენიებდნენ, როგორც ერთს უკანასკნელს კაცს: ქურდია, ავაზაკია, კაცის-მკვლელია, წუწკიაო. იგონებდნენ ასეთს ამბავს, ვითომ კონსტანი თავის ცოლით სადილად იყო პრეზიდენტთან და კარნოს დედამ ვითომ ასე ჰკითხა თავისს პრეზიდენტს შვილს:

— ნეტა სად მოუპარავს კონსტანს თავის ცოლის საკაბე, ლუვრის მაღაზიაში, თუ „Bon Marché“-საშიო?

როშფორის გაზეთმა ხომ გააჭირა საქმე ლანძღვა-გინებით, წყევლა-ქოქვით. ვერ გაუგია კაცს, თუ როშფორი უმაღლესმა სასამართლომ ციხეში ჩამწყვდევის ღირსადა სცნო და კიდეც გადუწყვიტა სამუდამო პატიმრობა, როგორღა იბეჭდება იმისი გაზეთი პარიჟში, როგორი რედაქტორი-ღაა გაზეთისა, ან როგორ-ღა ჰბეჭდავს თავისის გვარითა და სახელით ხელ-მოწერილს ლანძღვის წერილებს. ამ წერილებში ეს გაონავრებული ბებერი აღარ ინდობდა აღარც მინისტრებს, აღარც პრეზიდენტს და აღარც სენატს. პროკურორს ხომ სულ ტყავს აძრობდა და ყელს აჭრევინებდა დაცინვით, მასხარად აგდებით.

თუ ეიფელის კოშკმა გარშემო შემოიკრიბა ერნი მშვიდობიანობისა და მორიგების სახელით, ჟურნალ-გაზეთობამ, თითქო ბაბილონის გოდოლიაო, შემოიკრიბა ენა-არეულნი და გონება დაბნეულნი, რომელნიც სწეწენ და ჰგლეჯენ ერთმანეთს გაუგებრობითა და ბოროტებით, ილანძღებიან და იგინებიან, სწამებენ ცილსა ყოველთა და ყოველსავე, თავიანთ ქვეყანასაც კი, ერთის სიტყვით, იყო ერთი უბედურება და წეწვა-გლეჯვა, გაონავრება, დაუნდობლობა. ერთნი იძახდნენ: რესპუბლიკა გვინდაო, მეორენი გაიძახოდნენ: მონარხიაო, მესამენი რევიზიას თხოულობდნენ, იმპერიას, კომუნას, კოლექტივიზმს, ანარხიას, ბულანჟეობას და ათასს კიდევ სხვას.

მადლობა ღმერთს! ამ ვაი-ვაგლახში, ამ საშინელს უბედურებაში, ერს მაინც გონება არ დაებნა, მან სცნა მაინც თვისი ჭეშმარიტი მეგობარნი და კეთილის-მყოფელნი და იმათ მისცა კენჭი დეპუტატობისა, ვინც მართლა ღირსია, რომ ჰმართოს და ნამუსითა და სინიდისით განაგოს ბედი თავის თანამოძმეთა და ამომრჩეველთა. ერთის სიტყვით, ერმა რესპუბლიკა დაამჯობინა ყველაფერს. საყოველთაო არჩევანებით კვლავ აირჩიეს რესპუბლიკელნი, დღევანდელის მთავრობის მომხრენი, რომელნიც ბევრად უმეტესნი იქნებიან მომავალს პალატაში, ვიდრე მოწინააღმდეგენი.

ასე სამაგალითოდ გათავდა არჩევანები. მთავრობისა და რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი ბულანჟელებითურთ დარჩნენ ხახა-მშრალნი და ხელ-პირცარიელნი, მაგრამ ამის შემდეგ-კი მოისვენებენ?!,

**ავსტრია-ვენგრია.** ბედი არ ულიმის ავსტრიის იმპერატორს ფრანც-იოსებს. ოჯახობაში ათასი უბედურება იმას ეწვია, პოლიტიკაში უსიამოვნება უსიამოვნებას მოსდევს მისთვის, ომში უიღბლოა, ქვეშევრდომნი ერნი იმას ეკამათებიან და ეჯიბრებიან: ეს გვინდაო, ეს გვაკლიაო, ამის ნება მოგვეციო, არ მოგვცემ და ძალათი გამოგართმევთო. ვენგრიელებმა ცალკე პარლამენტი გაიკრეს, ჩეხელები შემოსდგომიან და დღევანდელს უდროო-დროოს ასტეხიან: გინდა თუ არა, ჩვენი ძველ მეფეთა გვირგვინი დაიდგიო; მობრძანდი პრაგაში და იგვირგვინე წმ. ვიაჩესლავის გვირგვინითაო. ამ დაგვირგვინების გამო ეხლა ერთი ალიაქოთია ატეხილი. რა დაგვირგვინება, რა სხვა საქმე! ფრანც-იოსები ერთხელ იძულებული იყო პირველ მინისტრად დაესვა ვენგრიელების პატრიოტი (ანდრაში), რომელიც ვენგრიელების აჯანყებაში დიდს მონაწილეობას იღებდა და რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. ფრანც-იოსები წავიდა პარიჟში და უმდაბლესი სალამი მიართვა იმპერატორს გერმანიისას, რომელმაც დააქცია პარიჟი, ხოჯა-მამად-ხანივით მოაოხრა უმშვენიერესი ქალაქი და გამოაცხადა, რომ გერმანია გაერთდა და იმისი იმპერატორი ვარო.

აი ასეთი უბედურება ეწვია მრავალჯერ ფრანც-იოსებს. ბედმა ესეც არ აკმარა და ახლა ლამის ძალათი წაიყვანონ პრაგაში და იქ კიდევ ვიაჩესლავის გვირგვინი დაადგან. რასაკვირველია, ეს საქმე არ არის ურიგო საქმე, როგორც ის, რომ ერთხელ სასიკვდილოდ განწირული კვლავ შეიწყნაროს კაცმა და, თუ ღირსეულია, აპატიოს სულგრძელებით დანაშაული მტერს, მეტადრე იმისთანას, რომელიც თავის სამშობლოს დაცვისათვის იბრძვის. ამისთანა საქმით ბევრი თავსაც მოიწონებდა. გლადსტონისა და გარიბალდის დიდება ამისთანა საქციელზედ აშენდა: ისინი თანაუგრძნობდნენ ყოველ ერის განთავისუფლებას, ყველა დაჩაგრულს, და ამით მოიხვეჭეს უკვდავი სახელი. მაგრამ ფრანც-იოსების გაჭირება კიდეც ის არის, რომ ამისთანა კარგს საქმეს თავად არ მოინდომებს, თავად არ თანაუგრძნობს და ბოლოს და ბოლოს მხოლოდ იმისდაუნებურად დაითანხმებენ ხოლმე. ძალათი დაითანხმეს ფრანც-იოსები და ვენგრიელებს პარლამენტი მისცა, ძალათი დაითანხმეს და ავსტრია-ვენგრიის ყველა ერს მიეცა ცოტაოდენი თავისუფლება თვით-მართველობის საქმეში. ეხლაც ჩეხელები იმდენს ეცდებიან, რომ ფრანც-იოსები იძულებული შეიქმნეს — დაგვირგვინდეს წმ. ვიაჩესლავის გვირგვინით პრაგაში და ამით აღიაროს, რომ ბოჰემია მანამდე ეჭირა უკანონოდ, მხოლოდ ძალ-მომრეობით და დაგვირგვინების შემდეგ-კი დაიჭერს კანონიერად, წესიერად.

ეს დაგვირგვინება პრაგაში არაფრად ეჭაშნიკება იმპერატორს; არაფრად ეჭაშნიკებათ აგრეთვე ავსტრიის გერმანელებსაც. ბევრი გაზეთი გერმანელებისა დასცინის ჩეხელებს ამაზე: ეს რაღა საარხეოლოგიო კომედია გამოატყვრინეს ჩეხელებმაო, მაგრამ ჩეხელები მაინც თავისას არ იშლიან. პროფესორმა ცუკერმა, თუ რომელმაღაც სხვამ ამაზე ასეთი პასუხი მისცა ავსტრიელ-გერმანელების გაზეთებს: როცა ვენგრიელები ჩვენსავით ითხოვდნენ ავსტრიის იმპერატორის დაგვირგვინებას წმ. სტეფანეს გვირგვინით პეშტში, რატომ მაშინ არ იძახოდით, ეს რა საარხეოლოგიო კომედიაო. რაც პეშტში კომედია არ იყო, ის პრაგაში კომედია გახდაო?!

საზოგადოდ, ავსტრიელი გერმანელები კარგად ჰგრძნობენ, რასაც ჰნიშნავს ეს ვითომ-და მარტივი საეკკლესიო ცერემონია დაგვირგვინებისა, როგორც ამტკიცებენ ფრთხილი და გამოცდილი სტარო-ჩეხები. იმათ კარგად იციან, რომ დაგვირგვინებას მოჰყვება თავის თავად სხვა უფლებათა თხოვნაც ჩეხელების მხრივ და ამიტომ იგლიჯებიან და იწეწებიან, მაგრამ რას იზამენ. დღეს მთავრობის მომხრე დასს ვენაში ძალიან ეჭირება დახმარება ჩეხელ დეპუტატებისა. სტარო-ჩეხები-კი იძახიან, რომ ჩვენ ვერ დაეხმარებით მთავრობას, თუ-კი ის ასეთს უბრალო თხოვნას არ შეგვისრულებს და არ მოინდომებს ფრანც-იოსები დაგვირგვინდეს პრაგაშიო.

## წვრილი ამბები

ამას ოც-და-ათის წლის წინად დ-რი ჯონსონი ამბობდა: „ჩვენი დრო, სხვათა შორის, იმითი განსხვავდება სხვა დროთაგან, რომ წიგნები ბლომადაო“. რას იტყოდა იგივე ბ-ნი ჯონსონი, ეხლა რომ წამოუხტეს და წიგნის მაღაზიების სტატისტიკური ცნობები ენახა. მაგალითებრ, წარსულის წლის გან-

ღამემდის არა სწყდება. შემდეგ-კი მეზობლად მოსახლე ხალხი თავიანთ სახლებში მიდიან დასაძინებლად, მორეულები-კი იქვე რჩებიან. პატარძალი პირველ ღამეს ქმართან არ იძინებს. ამ ღამეს იგი სახლის სტუმარია და ცალკე უნდა მოისვენოს, ქალებთან. ხოლო მეორე და მესამე დღე დიდი ქორწილის დღეებია.

ნამდვილი ქორწილი ამ დღეებში იმართება. დილიდანვე ეზოში გრძელ სუფრას გაშლიან, სუფრის მიყოლებაზედ ორივ მხრივ ნეჭებს დაალაგებენ. მამაკაცებისა და დედაკაცების მარაქისთვის სუფრა ცალ ცალკე იშლება. სუფრას რომ დაამზადებენ, პატარძალს თამაშობითა და ნაღარა-ზურნით გამოიყვანენ და დედაკაცების მარაქაში ბალიშებზე დასმენ. შემდეგ ნეფესაც მამაკაცების მარაქაში დასმენ და ყველა ხალხი დალაგდება. ნეფის წინ სამს ჩხირზედ სამფეხად, კონუსის მსგავსად შეკრულზედ, „შახს“ აკეთებენ. „შახის“ ჩხირებზე წითელი ვაშლებია ჩამორიგებული. „შახი“ სინზედ არის დაყრდნობილი. იმავე სინზედ აწყვია: შაქრის ნატეხები, კვერცხები, შოთები, ლავაშები, ხორცი, ქათამი და სხვ. ნეფე ზის სუფრის შუა ადგილს. მენაღარე და მეზურნე სუფრის ბოლოში სხედან. წარჩინებული და ხანში შესული ხალხი სუფრის თავს მოექცევიან, ხოლო ახალგაზდობა და „ღარიბ-ღურბათნი“-კი სუფრის ბოლოს. ამ გვარადვე სხდებიან დედაკაცები. მათი მარაქა კაცების მარაქაზე მოშორებით არის და იქ არც მენაღარე-მეზურნეა. ხალხი რომ დალაგდება, მოართმევენ საჭმელს. „ვარცლზე დგომელ“ ხალხს პურს „ჩომოუყრის“ (მიართმევს), „ქობებზე დგომელ“ კორცს, მწვადს, ყველს, „ქვევრზე დგომელ“ ჩაფებითა და კოტოშებით ღვინოს. ქვევრზე, ქობზე, ვარცლზე დგომლებს ბევრი თანაშემწენი ჰყავთ. ივინი სტუმრებთან დგანან, ზოგი ხალხს ღვინოს ასმევს, ზოგი პურს აძლევს, ზოგი ყურს უგდებს, ვის რა აკლია, ან ვინ რას მოითხოვს, რომ მიუტანოს. სტუმრები შეექცევიან ნელ-ნელა, დრო გამოშვებით ნაღარა-ზურნას აკვრევინებენ და ხალხს ნეფის წინ ათამაშებენ. დრო-გამოშვებითვე ვაჟის ნათესავი ქალები მოდიან და ნეფის წინ შაფრობენ. ნეფე ამ დროს ფეხზე ადგება. ქალი შაფრობას რომ მორჩება, მივა ნეფესთან და კისერზე ორ-სამ შაურიან გულგაზს (ხელსახოცს) შემოაკრავს, აკოცებს შუბლში და ისევ ქალების მარაქაში წავა. ამ ნაირად ნეფეს მრავალი ხელსახოცი უგროვდება. სტუმრების გასართობად კარგ მომღერლებს მოიწვევენ ხოლმე და ერთს ვისმე ხუმარად (ოინჩიდ) ამოირჩევენ. ხუმარას საქმე, როგორც იმის სახელ-წოდებიდამვე სჩანს, სტუმრების გართობა და გამხიარულებაა არის. ამიტომაც ხუმარა გაიკეთებს სხვა-და-სხვა ცხოველების სახეს, დათვისას, ტურისას და სხ., და დაჯდება სუფრის ბოლოზედ. დაიწყებს ოხუნჯობას, ღმეჭა-გრეხვას, თამაშობს და ასე ართობს ხალხს, ხშირად-კი იტყვის რასმე მახვილაკ სიტყვას და მიიქცევს მთელის ხალხის ყურადღებას. თუ ვინმემ გამოჯავრება დაუწყო, ადგება და „დაჰსრეცმავს“ (წააქცევს და ბღუჯავს). ამ სეირის მაყურებელი ხალხი იცინის, იცინის, კვდება სიცილით. ხუმარას გამოტანებულიც ჰშველის. ვინმე ნეფის ნათესავთაგანს რაზედმე შარს აუტეხავს და დასთარჯიმნავს ერთის ჩაფის ღვინითა, ცხვრის ლორითა და სხ. დათარჯიმანებულმა განაზვა თუ დაიწყო, გამოტანებული უბრძანებს ბიჭებს, რომ იგი «დააბან» (ხელ-ფეხი შეუკრან და ხეზედ მიაბან). ხეზედ მიბმულს ფეხებში ჯოხით ცემას დაუწყებენ, სცემენ, რასაკვირველია, ხუმრობით, იმ დრომდე, მინამ დათარჯიმნული თვითონვე არ შეეხვეწება, «ოღონდ გამიშვით და ყველაფერს მოგიტანთო». აუშვებენ და მართლაც ყველაფერს მოიტანს. ამ ნაირად ნეფის სტუმრებს ნათესავებიდამ დიდძალი ხორაგი მისდით. ქორწილშივე ახალგაზდა თოფოსანნი მიზანში სროლას იწყებენ, თამაშობენ, მღერიან და ლხინობენ. ქორწილში მოწყენა დიდი სირცხვილია, ვინც მოვა ქორწილში, უეჭველად უნდა იმხიარულოს.

მესამე დღე შაბაშის დღეა. ნეფის ოჯახი ერთ სანდო კაცს ამოირჩევს ხოლმე. მეშაბაშე აიღებს ერთ ვაშლს, შიგ დაურჭობს აბაზიანს, შევა კაცების მარაქაში და დაიძახებს:

— აჲ ჯამაათ, ყულაღ ასუნ, თეზა ხაბარ გელუფტურ! (ჯამაათო, სმენა იყოს, ახალი ამბავი მოგვესმაო).

— ხეჲრ ოლსუნ? (კეთილი იყოსო), ერთ-ხმად დაიძახებენ სტუმრები.

— ხეჲრდუ, ინშალლა! ივანი ბეგ ბირ მანით ბეგა ხალათ ბაასი გონდარუფტურ (ღვთით, სახეჩოა: ივანე ბეგმა ერთი მანათი) ბეგისთვის (ვითომ ნეფისთვისაო) ხალათის საფასურად გამოგზავნაო).

— ევი ავადან, ევი ავადან! ჰურაჲ! ჰურაჲ! (ააშენოს, ააშენოს, ურა, ურა!) გრიალებს ხალხი და ნაღარა-ზურნაც უკრავს. ამ გვარ სიტყვებით მეშაბაშეს მიეგებებიან ხოლმე ყოველ შაბაშის შემდეგ. შაბაშს სწირავს ყველა, ვინც-კი ქორწილში დაესწრობა. შაბაშად იწირება ზოგის ოჯახისაგან მანათი, ზოგისაგან $1/2$ მან., ორი აბაზი და სხ., ასე რომ ზოგიერთ ბედნიერ ნეფეს რამდენიმე თუმანი უგროვდება.

მეოთხე დღის ქორწილი ფეხზე მდგომების ქორწილია, ამიტომაც „ფეხზე დგომელი ქორწილ“-ი ჰქვიან. ამ დღეს, ფეხზე-მდგომლებს გარდა, ნათესავებიც მოვლენ და საღამომდის ილხინენ. მერე სახლი-პატრონს გამოემშვიდობებიან და წავ-წამოვლენ თავ-თავიანთსას.

(შემდეგი იქნება)

მავლობაში ინგლისში დაუბეჭდიათ 8,000 სხვა-და-სხვა წიგნი, ესე იგი, ორთაშუა რიცხვით, დღეში 25. ამას გარდა 2.225,000 მანათის წიგნი კიდევ საზღვარ-გარეთიდგან დაუბარებიათ ინგლისში. ამდენის წიგნების ბეჭდვა და დაბარება აშკარად ამტკიცებს, რომ ინგლისის ერს ხალისი აქვს კითხვისა, საჭიროებად გადაჰქცევია წიგნების კითხვით თავის გართობა, და არც ძნელია იმის მიზეზის დასახელება, თუ რამ მიაჩვია წიგნებს ინგლისის ერი. ინგლისის მთავრობამ გაზეთზე დაწესებული ბეგარა გააუქმა, უფასო წიგნთ-საცავები დააარსა, გამოსცა სწავლის გავრცელებისათვის ხელ-შესაწყობი კანონი, და ყოველ ამან ის მოქმედება იქონია, რომ წიგნის კითხვის სიყვარული ჩაუნერგა თვით უმდაბიოესს ხალხსაც-კი.

ამ საგნის შესახებ ჟურნალ „The Tortnightly Review“-ის სექტემბრის წიგნში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი W. M. Gattie-სი. ავტორი ამ წერილისა იმის გამორკვევას შესდგომია, თუ ლიტერატურის რა გვარს ნაწარმოებს უფრო ადევნებს თვალ-ყურს ინგლისის ერი და რას უფრო სიამოვნებით კითხულობსო. გატტის ოცდა-ორის წიგნთ-საცავის ანგარიში შეუკრებია და რიცხვებს უპირისპირებს ერთმანეთს. სხვა-და-სხვა ქალაქის რიცხვები ისე ერთ გვარი და ერთ-ფეროვანია, რომ რამდენისამე უმთავრესის ქალაქის ანგარიში რომ მოვიყვანოთ, ისიც კმარა:

| ქალაქები: | ღვთისმეტყველება და ფილოსოფია. | სამართლისმეტყველება და საბუნებისმეტყველო მეც. და ხელოვნება. | ისტორია, ბიოგრაფია და მოგზაურობის წიგნი. | კანონ-მდებლობა და პოლიტიკა. | სიტყვა-კაზმული ლიტერატურა. | პოეზია და დრამა. | სხვა-და-სხვა. | საყმაწვილო წიგნები. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | % | % | % | % | % | % | % |
| ლივერპული | 2,92 | 5,46 | 7,09 | 0,50 | 76,77 | 0,53 | 6,38 | — |
| მანჩესტერი | 1,32 | 6,19 | 9,06 | 0,56 | 70,43 | 0,81 | — | — |
| ბოლტონი | 0,65 | 4,48 | 4,46 | 0,30 | 80,97 | 12,44 | 8,32 | — |
| ლიდსი | 0,96 | 5,17 | 5,94 | — | 55,61 | — | 2,39 | 29,93 |
| შეფილდი | 1,29 | 8,08 | 11,23 | 0,31 | 62,65 | 1,11 | 5,33 | — |
| ნიუკასლი ტაინზე | 2,75 | 11,71 | 5,65 | 3,07 | 48,87 | 4,14 | 8,96 | 14,85 |
| ლესტერი | 0,68 | 3,03 | 5,83 | 0,45 | 60,16 | 0,76 | 6,25 | 23,14 |
| ბრადფორდი | 0,81 | 3,10 | 8,68 | 0,07 | 74,79 | 1,00 | 4,76 | 6,79 |
| ბირმინგამი | 1,48 | 6,09 | 5,87 | 0,24 | 63,98 | 1,45 | 10,32 | 10,57 |
| ბრისტოლი | 1,20 | 3,46 | 5,46 | — | 61,84 | 6,85 | 1,93 | 19,26 |
| პლიმუთი | 0,63 | 1,58 | 6,03 | — | 40,47 | 0,93 | 11,03 | 39,33 |
| პორტსმუთი | 1,83 | 6,53 | 12,74 | 3,38 | 35,93 | 3,25 | 32,34 | 4,00 |

თუ ადგილობრივ პირობათა განსხვავებას მივიღებთ მხედველობაში, აქ მოყვანილი რიცხვები გაგაოცებთ თავისის თანასწორობით. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში ტაინის ნიუკესტლში უფრო ძალიან საფილოსოფიო, საკანონ-მდებლო და საპოლიტიკო შინაარსის წიგნებს კითხულობენ, ხოლო სიტყვა-კაზმულს ლიტერატურას-კი ისე რიგად არ ეტანებიან. აქედგან შეცდომა იქნება იმ დასკვნის გამოყვანა, ვითომ ნიუკესტლში უფრო განათლებული და განვითარებული ხალხი სცხოვრობს, ვიდრე ლანკაშირისა და იორკშირის დიდს ქალაქებშიო. მკითხველთა სიას რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ ნიუკესტლის წიგნთ-საცავში წიგნები უკითხავს სულ 8,000 კაცს. ამათში 36 მადნის-მთხრელი მუშა ყოფილა, 41 კალატოზი, 43 გაჯით მლესავი და 104 უბრალო მუშა. დანარჩენნი-კი უფრო რიგიანს საზოგადოებას ეკუთვნიან: 68 სასულიერო წოდებისაა, 215 ვაჭარი, ამდენივე ნოქარი, 248 ხუროთ-მოძღვარია, 129 დალალი და 1,056 მოხელე. ამას გარდა ქალები უფრო შუა წოდებას ეკუთვნიან. პირ-იქით, ლიდსში, სადაც საფილოსოფიო და საღვთისმეტყველო წიგნებს სულ არა კითხულობენ და უფრო სიტყვა-კაზმულს ლიტერატურას ეტანებიან, 9,000 მკითხველში, რომელთაც ექვსის თვის განმავლობაში ესარგებლნიათ წიგნთ-საცავით, 550 ლითონის ქარხნის მუშა ყოფილა, 376—საბრეშუმო ქარხნებისა და 1,783 სხვა-და-სხვა სამრეწველო ქარხნის მუშა და სასულიერო წოდებისა-კი სულ 60, ვაჭარი და მრეწველი—114, ნოქარი—112, დალალი—90 და მოხელე 676.

სხვა ქალაქების რიცხვებშიაც დიდი განსხვავება არ არის ზემოხსენებულთან, მხოლოდ ზოგიერთს ქალაქს თავისი განკერძოებული თვისებაცა აქვს: ესტერში უფრო საღვთის-მეტყველო წიგნებსა კითხულობენ, ბრისტოლში—პოეზიას. საზოგადოდ თითქმის ყველა ინგლისის ქალაქში სიტყვა-კაზმულ ლიტერატურა 80% იკითხება და დანარჩენი სხვა ნაწილი-კი—20%. მდაბიო ხალხი თითქმის სულ არ ეტანება საბუნების-მეტყველო მეცნიერებასა და ხელოვნებას, პოეზიას, ღვთის-მეტყველებასა და ფილოსოფიას.

შემდეგ გატტი ამბობს, რომ მწერლებში ინგლისის ერს განსაკუთრებით უფრო ტეკერეი უყვარს და დიკენსი, ვალტერ-სკოტს, ლორდ ლიტტონს და ჯორჯ ელიოტს ისე რიგად არ ეტანებაო. ამისი მიზეზი ის არის, რომ ხალხს უყვარს მწერალი დღევანდელის დღის ვარამსა და ვაგლახს ასწერდეს და არა წარსულის დიდებასა და უბედურებას. ხალხი, მართალია, კითხულობს კლასიკურის მწერლების ნაწარმოებს, მაგრამ ახალს უფრო ეტანება, ისეთს ახალს, რომელსაც პირველში ათასობით და ათი ათასობით ყიდულობენ და შემდეგ-კი მარშანდელ თოვლსავით ივიწყებენ. ამისთანა წიგნები დღეში ათობით იბეჭდება და რიგდება წიგნის მაღაზიებში. როდესაც ახალი მოთხრობა გამოდის მისს ბრედონისა, ბრაუტონისა და ან რაიდერ გაგარდისა, ისე სწრაფად დაიტაცებენ ხოლმე, რომ წიგნთ-საცავები იძულებულნი არიან მკირფასად მოიპოვონ ხოლმე ათასობით ახალი რომანი შეშფოთდად და ექვსის თვის შემდეგ ფუთობით გაჰყიდონ მეწვრილმანეებზე დანარჩენი. ერთი ამ გვარი მოთხრობა—The Mystery of a Hansom Cab-ი ინგლისში თვრამეტის თვის განმავლობაში 346,000 ეგზემპლიარი გაიყიდა. ამ გვარი მოთხრობანი უფრო გრძნობიერად არის დაწერილი და ამით იზიდავს მკითხველებს. გატტი ამბობს, რომ ისევ სჯობია ამისთანა წიგნები იკითხოს ხალხმა, ვიდრე სამიკიტნოებში გაატაროს დროებაო.

# დეპეშა

12 სექტემბერი

პეტერბურგი. პეტერბურგის გუბერნატორი ლუტკოვსკი თხოვნისამებრ დაითხოვეს სამსახურიდგან ავადმყოფობის გამო. იმის მაგიერ დაინიშნა იუსტიციის სამინისტროს კონსულტაციის წევრი გრაფი ტოლი.

პარიჟი. დღეს სხდომა დაასრულა რკინის გზების წარმომადგენელთა კონგრესმა. შემდეგი კონგრესი შეიკრიბება პეტერბურგში.

13 სექტემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია კანონი, რომლის ძალითაც ფინანსთა მინისტრს შეუძლიან საბანკირო დაწესებულებათა აღუკრძალოს ზოგი ოპერაცია, მაგალითად, შინაგან სესხის მომგებიან ბილეთის გასყიდვა ნაწილ-ნაწილად ფულის შეტანით; გადაგირავება სარგებლიანის ქაღალდისა, რომელთა გირავნობით საბანკირო დაწესებულებას სესხი გაუცია, თუ რომ გადაგირავების ჯამი აღემატება სესხს და სხ. თუ რომ საბანკირო დაწესებულებას აღეკრძალა ეს ოპერაციები, მაშინ ფინანსთა მინისტრი ჰნიშნავს ვადასა და წესს ლიკვიდაციისას. კანონში აგრეთვე მოხსენებულია, რომ ამ საბანკირო დაწესებულებათა პატრონები რომელთაც მართებლობის მიერ დამტკიცებული წესდება არა აქვთ და რომელნიც ამ კანონს დაარღვევენ, გადახდებათ პირველად 100—1000 მანეთამდე, მეორედ—200—2000 და მესამედ—300—3000 მ., მიესაჯებათ ციხეში დამწყვდევა 2—8 თვემდე და იმათი კანტორა გაუქმებული იქნება.

დღეს საზღვარ გარეთ წავიდა საბერძნეთის დედოფალი.

პეტერბურგის ბირჟა, 12 სექტემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . . | — „ | — „ | 7 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 152¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 263 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 238½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანაშვილის მიერ. „ 50

ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან . . . . . „ 55

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ
въ образцахъ,
пер. И. Ф. Тхоржевскаго.
ფასი 30 კაპ.

# სასწავლებელი და პანსიონი

## ი. რ. მჟავლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იღებს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—3)

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მერვე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშას დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1889—90 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და მშიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—12)

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

# „დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაუთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—29)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—43)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ 13-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე